სანდრო ცუცქირიძე

ხავერდოვანი რევოლუციების განვლილი გზა პოსტ-საბჭოთა სივრცეში (საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე)

დროისა და ეპოქების ცვალებადობასთან ერთად მნიშვნელოვანი გარდაქმნები განიცადეს პოლიტიკურმა რეჟიმებმაც, რთულია მოიძებნოს პოლიტიკური რეჟიმი რომელსაც თავის ძალაუფლების არეალში, მცირე ოპოზიციური განწყობების ჯგუფი არ ჰყოლოდა. უმეტეს შემთხვევაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმებში ცვლილებების მთავარი ინიციატორს, ადამიანთა ის ჯგუფი წარმოადგენს, რომელსაც დღევანდელი გაგებით ,,სამოქალაქო საზოგადოება" ეწოდება.

საზოგადოებაში გავრცელებული ყველაზე მარტივი გაგებით პოლიტიკური რეჟიმი არის ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მართვის ფორმა. საკუთრივ სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, სადაც არსებობს შინაგანი მშვიდობისა და სტაბილურობის ტენდენცია. პოლიტიკური რეჟიმი ეს ზოგადი ცნებაა და არ ნიშნავს ხაზგასმით რომ რეჟიმი აუცილებლად დემოკრატიული უნდა იყოს. საგულისხმოა რომ როდესაც მოსახლეობის პროტესტით ხდება დემოკრატიული ლერსებზე ქვეყნის გადასვლა, რევოლუციური მოვლენები სავსებით ადეკვატურია და განიხილება, როგორც გარდაუვალი მოვლენა ქვეყნის დასახული მიზნის მისაღწევად . ყოველივე ეს კი აჩენს კითხვებს თუ რა კავშირი შეიძლება იყოს დემოკრატიასა და რევოლუციას შორის? განსაკთრებით კი მაშინ როდესაც რევოლუცია თავისთავად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს, მაგრამ ორიენტირებულია დემოკრატიულ მოთხოვნებზე.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში მომხდარ რევოლუციებს თავისებური სტრუქტურული მახასიათებლების გამო, ,,ფერადი რევოლუციების " სახელწოდებით მოიხსენიებენ. ფერადი რევოლუციების შესახებ კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია იმ პოლიტიკური ფაქტორების ანალიზზე, როგორიცაა გაყალბებული არჩევნები, კორუფცია, კანონის უზენაესობის არ ქონა და სხვა .

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის დასახული მიზანია გამოყოს და ხაზი გაუსვას პოსტ-საბჭოთა სივრცის ორ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოში მომხდარი ,,ხავერდოვანი რევოლუციების" წინარე პერიოდისათვის ხელშემწყობ ფაქტორებსა და აქტორებს. კვლევის შედეგის მეტი თვალსაჩინოებისათვის, საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვეყრდნობი თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, სიღმისეული ანალიზი გაუკეთოს რევოლუციური განწყობების ჩამოყალიბებას როგორც ზოგად ისტორიული განვითარების ჭრილში ისე პოსტ - საბჭოთა სივრცის საკვლევ(საქართველო და სომხეთი) სახელმწიფოებში . მოცემულ საკითხებზე მომუშავე მკვლევართა ნაწილი თვლის რომ (უფრო თვალსაჩინოდ საქართველოსა და სომხეთში) არსებული მმართველი პოლიტიკური რეჟიმის შესაცვლელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ ოპოზიციას, რომელსაც საფუძველს უმყარებს თავისუფალი

მედია, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება , რომელიც საკმარისი გახდა არჩევნების შედეგების გაყალბებით აღშფოთებული საზოგადოების მასების კონსოლიდაციისათვის. მიუხედავად ამისა გარკვეული აკადემიური ჯგუფების წარმომადგენლები ხაზგასმით მიუთითებენ გარე ძალების წარმატებულ ჩართულობეზე.(Polese, 2011)

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია განსაზღვროს საზოგადოების როლი ელიტების რღვევის პროცესში, ვინაიდან პოსტ-კომუნისტურ სივრცეში დაწყებული რევოლუციური მუხტების წარმატებით დასრულებისათვის არსებული რეჟმების სტრუქტურების რღვევა მთავარი ხელშემწყობია. ზოგადად სახით რომ ვთქვათ ფალსიფიცირებულ ორიენტირზე დაფუძნებული საარჩევნო პოლიტიკა იქცა მთავარ ტრიგერად რამაც ხელი შეუწყო ფერადი რევოლუციების წარმატებით დასრულებას. რაც განსაკუთრებით გამოჩნდა საქართველოს (2003) და სომხეთის (2018) წლების ფერად რევოლუციებში. მოკვლევის შედეგად დადებული დასკვნის გასამყარებლად საქართველოსა და სომხეთის შემთხვევების გარდა , ასევე განხილულ იქნა (2004) წელს უკრაინაში წარმატებით შემდგარი და შემდგომ ,,ნარინჯისფერი რევოლუციის“ სახელწოდებით დასრულებული რევოლუცია. გარდა უკრაინისა პარალელები იქნა გავლებული (2020) წლის ბელორუსიის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან, რომელსაც ზოგჯერ ვერშემდგარ ,,ხავერდოვან რევოლუციას “ უწოდებენ .

რევოლუციის როგორც ახალი საკვლევი მოვლენის შესწავლა XVIII -XIXსს. მიჯნაზე იწყება. საკუთრივ ტერმინი „რევოლუცია” - მისი თანამედროვე გაგებით - სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა და გარდაუვალ მოვლენად განიხილებოდა. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ არაკონტროლირებადი ძალადობრივი გარდაქმნების მნიშვნელობაც შეიძინა. თუმცა რიგი მკვლევარების აზრით, რევოლუცია იყო პროგრესული მოვლენა, რომელსაც დრომოჭმულის დამხობა და ახლი პროგრესული ხედვების დამკვიდრება მოჰყვებოდა ხოლმე. მაგალითად, კარლ მარქსი რევოლუციას „ისტორიის ლოკომოტივს“ უწოდებდა, რომელიც პოზიტიურ გარდაქმნებს აჩქარებს. მარქსისტულ თეორიაში რევოლუციას განსაკუთრებული ადგილი უკავია, იგი წინასწარ განსაზღვრულია საზოგადოების განვითარების მიმდინარეობით და გარდაუვალი ხდება. რევოლუცია განხილულია, როგორც ერთგვარი ხსნა, ძველი რეჟიმისგან გათავისუფლება და იმ კონსტიტუციური წყობის ზეობა, რომელიც მის შემდეგ მყარდება. შინნარსობრივი დატვირთვით ტერმინი „რევოლუცია“ გულისხმობს რეჟიმის ცვლას, რომელსაც გააჩნია მკაცრად განსაზღვრული მახასიათებლები: პირველი, ძველი წესრიგის საჯარო დისკრედიტაცია, რომელის საფუძველია მმართველი ძალის - კლასის ან ადამიანთა ჯგუფის, დაუყოვნებლივი ცვლილება. მეორე, მოიაზრება არა მხოლოდ მმართველი ჯგუფის, არამედ მართვის საშუალებების ცვლა საზოგადოების სახელით, რომელიც წარმოდგენილია უმრავლესობით; მესამე, ახალი მმართველი ჯგუფის ლეგიტიმაცია ხდება საერთო დოქტრინის ან იდეოლოგიის მქონე ერთეულის მიერ; მეოთხე, იქმნება ახალი სისტემა სახელმწიფოს სახელით:

რევოლუციის ტენდენციის მახასიათებელია სახელმწიფოზე კონტროლის ხელში ჩაგდება და გამოყენება ცვლილებებისთვის; მეხუთე, ახალი მმართველები და ინსტიტუტები ხელისუფლებას იღებენ ძალადობით ან ძალადობის მუქარით (Fairbanks, 2007).

წარმოდგენილ პოსტ-საბჭოთა სივრცის საკვლევ სახლმწიფოებში ნათლად გამოიკვეთა საგარეო გავლენების მნიშვნელობაც, რაც გამოიხატა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მხარ-დაჭერაში. ხშირია საუბრები თუ რამდენად ერგება ვარდების (2003) და სომხეთის (2018) წლების რევოლუციები საყოველთაოდ აღიარებულ რევოლუციურ პრინციპებს. მთლიანობაში ზოგადი სურათი ორივე რევო-ლუციის შედეგ იდენტურია, გვაქვს არსებული რეჟიმის ცვლილება , ასევე სახეზეა არსებული რეჟიმის ლიდერების ცვლილება. ყოველივე ეს კი უფრო ასოცირდება რევოლუციასთან, ვიდრე რეფორმასთან ან სახელმწიფო გადატრიალებასთან. რევოლუციის მნიშვნელობა დამო-კიდებულია იმაზე, რასთანაც ხდება შედარება. ცვლილებას მხარს უჭერს საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ცვლილება სარგებლის მომტანია და ეწინააღმდეგება ის ნაწილი, რომელმაც შეიძლება სარგებელი დაკარგოს ცვლილებით. ცვლილების ხასიათი ასევე დამოკიდებულია არსებულ ინსტიტუტებზე, რამდენად უწყობს ხელს ინსტიტუტები ადამიანების სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და რამდენად არის უზრუნველყოფილი უმრავლესობის წარმომადგენლობით ორგანოებში ჩართულობა .

საქართველოსა და სომხეთის მაგალითზე დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ ოპოზიციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახერხეს საზოგადოების დარწმუნება, რომ პოლიტიკური პროტესტი მოიტანდა სასურველ შედეგს. რაც არსებული რეჟიმის ცვლილებაში გამოიხატებოდა .

მსოფლიოში გაბატონებული დემოკრატიული მშვიდობის თეორიის თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთში არ აწარმოებენ სამხედრო დაპირისპირებებს. ამიტომ დასავლეთის მიერ პოსტ-კომუნისტურ სივრცეს დიდი ყურადღება დაეთმო, იმ იმედით რომ ახალი სახელმწიფოები დემოკრატიულ ორბიტაზე გადაინაცვლებდნენ. მიუხედავად ესეთი პო-ზიტიური მოლოდინებისა პოსტ-საბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბდა ჰიბ-რიდული რეჟიმები, რომლებიც ნახევრად-ავტორიტარული სახელმ-წიფოები გახდნენ. იმის მიუხედავად რომ არსებულ რეჟიმებში არსებობდა დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ოთხი მნიშვნელოვანი გარემოება (არჩევნები, კანონმდებლობა, სასამართლო, მედია) არსებული რეჟიმები მაინც შორს იყვნენ დემოკრატიულობისაგან .

საინტერესო მოსაზრებას გვტავაზობს სამუელ ჰანტინგტონი საკუთარ ნაშრომში (Huntington:2006) „დემოკრატიზაციის მესამე ტალღა“ ხაზგასმით აღნიშნავს პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიულობის მთავარ ხელ-შემწყობ და შემაფერხებელ გარემოებებს. ავტორის აზრით რეჟიმების ავტორიზმისაკენსწრაფვა განპირობებულია ერთგვარი არამდგრადობისაგან, სადაც საზოგადოება ვერ ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოებად , რითაც წამახალისებელ სტიმულს აძლევენ მმართველ ელიტას.

რიგი მცდელობების მიუხდავად პოსტ-კომუნისტური ბანაკის ქვეყნები ბოლომდე ავტორიტარები ვერ ჩამოყალიბდნენ. მიზეზებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია საზოგადოებიდან მოსალოდნელი ზეწოლა, ამიტომ ხშირია ნახევრად-ავტორიტარული რეჟიმების დაახლოვება და საერთო ალიანსის შექმნა. ამ მხრივ კარგ მაგალითს წარმოადგენს 2022 წლის იანვრის მოვლენები ყაზახეთში, სადაც პროტესტის გამომხატველი მისახლეობის წინაამღდეგ ყაზახური სამხედრო ძალების გარდა ადგილზე გამოჩდნენ რუსი, ბელორუსელი და სომეხი სამხედროები(ყაზახეთი წევრია აზიური სამხედრო ორგანიზაციის ოდკბ-ს რომლის მიხედვითაც საგანგებო სიტუაციებში წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაეხმარონ კრიზისში მყოფ პარტნიორ სახელმწიფოს).

მარტივი ენით რომ ვთქვათ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები წარ-მოადგენენ მსგავსი სტრუქტურების მქონე სახელმწიფოთა კლასს სადაც წარმოდგენილია დემოკრატიული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტიტუტები. ყველაზე პარადოქსი კი ისაა რომ ეს სახელ-მწიფოები კონსტიტუციურ დონზე ადასტურებენ დმოკრატიულობას, ოპო-ზიციური პარტიების გაცხადებულ არსებობას, დამოუკიდებელი მედია საშუალებების ფუნქციონირებას და რეგულარული სახით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების არჩევნების დანიშვნებს. არჩევნების და დემოკრატიული კონსტიტუცის ფაქტორი რიგითი მოსახლეობისათვის შემოიფარგლება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი დონით, გარდა ხმის მიცემის უფლებისა და მცირე სახის აქტიობებისა. (Carothers, 2002).

პოსტ-კომუნისტურ რეჟიმებზე დაყრდნობით მაქს ვებერი გვთავაზობს საინტერესო მისგომას რომლის მიხედვითაც დემოკრატიული რეჟიმი და დიქტატურა არის ერთი წრფის ორი სხვადასხვა დაბოლოვება . ხოლო საკუთრივ პოსტ - საბჭოთა ქვეყნები განეკუთვნებიან პოლიტიკურ რეჟიმს იმ კლასს სადაც არსებულ რეჟიმებს ჰიბრიდულს უწოდებენ (Hale:2005)

საზოგადოდ ისტორიულმა ფონმა გვიჩვენა რომ ფერადი რევო-ლუციების წარმატება საგარეო ფაქტორებზე მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული. საზოგადოების მიერ დაწყებულ სამოქალაქო პროტესტს რაც უფრო რეპრესიებთ პასუხობს მმართველი ელიტა, პროტესტის მო-ნაწილეები მით მეტ უცხოურ სიმპათიას იღებენ. ეს ყოველივე კი უბიძ-გებს დომინანტ ძალებს ჩაერიონ და მოქმედი რეჟიმები წნეხში მოაქციონ. ფერადი რევოლუციების მიმართებაში, გამოყოფენ საპროტესტო მსვლე-ლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას - ქუჩის პროტესტს. მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში ხელისუფლების წინაში დგება ორი ამოცანა, პირველი დათმოს ხელისუფლება, და მეორე იბრძოლოს ყველა გზით რეჟიმის შესანარჩუნებლად, რომელთა შორისაა ოპოზიციის მიმათ რეპრესიული პოლიტიკის დაწყება, საგარეო გავლენის მინიმუმამდე დაყვანა, იზოლიება სამოქალაქო საზოგადოების, საპროტესტო აქციებში მონაწილეობისათვის სასჯელის გამკაცრება და საკუთარი რეჟიმის შიგნით ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერება .

საქართველოსა და სომხეთის მაგალითებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ მოქმედი რეჟიმის მირ დაშვებულ რიგ შეცდომებს შორის იყო სუსტი იძულების აპარატი რომელიც ვერ ახდენდა პროტესტში მონაწილეობისათვის საზღაურის სათანადოდ გადახდას. ოპოზიციამ ორივე შემთხვევაში შეძლო გამოეყენებინა საკუთარი შანსი და შეჯე-რებულიყო საერთო იდეაზე, გარდა ამისა მოხდა ისეთი ლიდერის გარშემო გაერთიანება რომლებიც შემხებლობაში იყვნენ სახელმწიფოს მართვის პროცესებში(მიხეილ სააკაშვილი იკავებდა ედუარდ შევარდნაძის მთავრობაში იუსტიციის მინისტრის თანამდებობას,ხოლო ნიკოლ პაშინიანი სომხეთში იყო პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი). ამიტომ საზოგადოებას მათ გარშემო არ გაუჭირდათ კონსოლიდირება, ვინაიდან ახალ ლიდერებს აღიქვავდნენ როგორც კორუმპირებული სისტემის წინაამღდეგ მებრძოლებად .

აუცილებლობას წარმოადგენს აღვნიშნოდ რომ საქართველოს 2003 წლის ვარდების მშვიდებიანი რევოლუცია წარმოადგენს 2000 წლის სერბული რევოლუციის გაგრძელბას, ხოლო ქართული რევოლუციის გაგრძელებად კი ითვლება უკრაინული 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუცია. გარე ძალების განსაკუთრებული ჩარევა იგრძნობოდა უკრაინის 2004 წლის არჩევნებში, სადაც ევროკავშირმა და ევროპის ლიდერებმა მაქსიმალურად აიძულა კუჩმას რეჟიმი დაენიშნა მეორე ტური, ხოლო საარჩევნო პროცესი კი გამჭირვალე ყოფილიყო.

სამოქალაქო საზოგადოების პროტესტის მნიშვნელოვან ქეისს წარ-მოადგენს სომხეთის შემთხვევა სადაც მოსახლეობის მასშტაბური პრო-ტესტი მოჰყვა არა არჩევნების შედეგების პროტესტს არამედ მმართველი რეჟიმისაგან ,,ტყუილად" წოდებულ დაპირებას. კერძოთ ათ წლიანი მმართველობის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა საჯაროდ დაადასტურა რომ ის 2018 წლის არჩევნებში არ მიიღებდა მონაწილეობას და თავის კანდიდატურას არ დააყენებდა პრემიერ-მინისტრის პოსტზე. თუმცა მისი გუნდის(რესპუბლიკური პარტიის) არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საზოგადოებისათვის მიცემული სიტყვა სარქისიანმა დაარღვია და საკუთარი თავი პემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინა. სომხურმა საზოგადოებამ რომელსაც კარგად ახსოვდა სარქისიანის მმართველობის ტერორი, ძალადობა, კორუფცია, უკანონობა და მძიმე სოციალურ-ეკო-ნომიკური სიტუაცია მკაცრი პროტესტით უპასუხა, მასშტაბურ პროტესტის მამოძრავებელ ძალებად ახალგაზრდა სტუდენტური ჯგუფები იქცნენ . სომხური საზოგადოების მთავარი ლიდერი გახდა დასავლეთის მიერ (ამერიკასა და ევროპაში მცხოვრები სომხური დიასპორების) მხარდაჭერილი ნიკოლ ფაშინიანი , მიუხედავად იმისა რომ ნიკოლ პაშინიანი არ იყო დიდი ავტორიტეტი საკუთრივ ოპოზიციაშიც კი, საზოგადოების უმეტესობამ ფსონი სწორედ მასზე დადო. ამის ფაქტს თავად სომეხი ექსპერტთა ჯგუფები ორი გარემოებით ხსნიან, პირველი რომ ნიკოლს ჰქონდა სუფთა პოლიტიკური წარსული და მეორე, ღიად დაფიქსირებული დასავლური ორიენტაცია. აუცილებელია ითქვას რომ ყველა ოპოზიციური ძალა არ მოიაზრებდა გაერთიანებულიყო პაშინიანის ირგვლივ, მიუხედავად ამისა

საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერის შედეგად ნიკოლის 2018 წლის ,,ფერადი რევოლუცია“ წარმატებით შედგა .

წარუმატებელი რევოლუციის შესაძლო ქეისად სავსებით შესაძლებელია მივიჩნიოთ ბელარუსის შემთხვევა, სადაც ხელისუფლება წლების განმავლობაში ახდენდა ოპოზიციის საერთაშორისო იზოლირებას. არჩევნების ტოტალური გაყალბება, კორუფცია, კანონის უზენაესობის არ არსებობა და პრობლემები მოსახლეობას უბიძგებდა დაეწყო პროტესტი მმართველი რეჟიმის წინაამღდეგ. ამ მხრივ ძალიან მძიმე აღმოჩნდა 2020 წლის აგვისტოს მოვლენები, სადაც ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ მასობრივი ტერორი და ზალადობა მოუწყო საკუთარ ხალხს რომლებიც აპროტესტებდნენ არჩევნების გაყალბებას. მასშტაბებიდან გამომდინარე ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა .

შეჯამების სახით რომ ვთქვათ, იქ, სადაც მოხდა რევოლუცია, მმართველი ელიტები არ იყვნენ ერთიანი, სახეზე გვქონდა აშკარად ელიტური რღვევის ნიშნები. ამ ყოველივემ კი ოპოზიციას საშუალება მისცა განვითარებისა და გაერთიანების, ხოლო როდესაც გაჩნდა რეალური საფრთხე რეჟიმის ცვლილების, ხელისუფლების რეაქცია დაგვიანებული აღმოჩნდა.

წარმოდგენილმა კვლევამ გაანალიზა, საქართველოსა და სომხეთში რევოლუციური გარემოს წინარე ხელშემწყობი პირობები. ქართულ-სომხურმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი განვითარების გზა განვლეს სანამ ,,სამოქალაქო საზოგადოება“-დ ჩამოყალიბდებოდნენ. კვლევაში განხილულია ყველა ის საგარეო ფაქტორი რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონიეს ფერეადი რევოლუციების წარმატებულობაში. გამოყოფილია ყველა საერთო მახასიათებლები როგორც მსგავი ისე განსხვავებულია ორივე შემთხვევისათვის.

კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ საქართველოში 2003 წლის ვარდების რევოლუცია გახდა პირველი პროგრესული მოვლენა მთელ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში, სადაც არსებული არადემოკრატიული რეჟიმი შეიცვალა მშვიდობიანი პროტესტით. საქართველოს შემთხვევა გახდა რიგ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ნახევრად-ავტორიტარული რეჟიმების წინაამღდეგ ოპოზიციური ძალებისათვის ერთგვარი წახალისება, ებრძოლად უკეთესი მომავლისათვის. ამიტომ სავსებით ლოგიკურია უკრაინის 2004 წლის ,,ნარინჯისფერი“ რევოლუცია და ყირგიზეთის 2005 წლის ,,ტიტების რევოლუციური“ პროცესები ქართული რევოლუციის გაგრძელებად განვიხილოდ.

საგულისხმოა ის დეტალი თუ რატომ ჩამორჩა დროში ფერად რევოლუციებს სომხური ხავერდოვანი რევოლუცია?! ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სომხეთის შიდა პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი, რომელმაც ცხადყო მიზეზი რაც გამოიხატა სამოქალაქო საზოგადოების გვიან ჩამოყალიბებაში,საგარეო პოლიტიკის რუსეთთან დაკავშირებაში და ტერიტორიული პრობლემების(ყარაბაღის სტატუსის) არსებობაში. 2000-იან წლებში სომხეთში შეიქმნა განცდა რომ ქვეყნის ტერიორიული დაცულობის გარანტი ეს რუსეთია, ხოლო სომხეთის მმართველი რეჟიმი კი მოსკოვის მიერ

უალტერნატივო ძალებად აღქმული. რომ არა რუსული გავლენები, ასევე საკუთრივ სახელმწიფოს შიგნით სტრუქტურულ-ინსტიტუციური სიმყარე, ქვეყანაში რევოლუცია გაცილებით ადრე მოხდებოდა(თუნდაც 2008 წელის მარტში, როდესაც მოსახლეობის ყველა ფენა დიდმა საპროტესტო ტალღამ მოიცვა).

აუცილებლობას წარმოადგენს აღინიშნოს საგარეო ფაქტორების მნიშვნელობა რომლებმაც პირდაპირ თუ ირიბად იქონიეს გავლენა რევოლუციური პროცესების წარმართვაში. პირველ რიგში აღსანიშნია პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული მიდგომა რომელიც აღიარებს რუსეთს როგორც მთავარ ძალას, პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების ესეთი მიდგომა განპირობებულია ორი ფაქტორით: პირველი ფაქტორია რუსული საფრთხეების გაანალიზება, და იძულებითი კოჰაბიტაცია მოსკოვთან. მეორე ფაქტორი კი ეყრდნობა საკუთრივ პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების მმართველ ჯგუფებს, რომლებიც იძულებულები არიან ქვეყანაში დამყარებული ნახევრად-ავტორიტარიტარული რეჟიმის შესანარჩუნებლად რუსული ორბიტა აირჩიონ. ამიტომ რუსეთის როლი კვლევის ქვეყნებში და განსაკუთრებით სომხეთში ძალიან მნიშვნელოვანია. კავკასიის მიმართულებით რუსი მმართველი ელიტა ხშირად იყენებს ტერმინს ,, უკანა ეზო “, რაც გულისხმობს რუსული გავლენიანობის სიმძლავრეს. რუსული გავლენა განსაკუთრებით გამოჩნდა სომხეთთან მიმართებაში, ვინაიდან სომხეთში რუსული გავლენების მზარდი ხარისხის გამო ქვეყანამ დაგვიანებით შეძლო ნახევრად-ავტორიტიზირებული რეჟიმის ცვლილება არაძალადობრივი გზით.

წარმოებულ კვლევაში მნიშვნელოვანი იყო მიგნება, რევოლუციური პროცესის წარუმატებლობის უმთავრესი ფაქტორის გამოკვეთა. რაც გამოიხატება პოლიტიკური რეჟიმის შიგნით არსებული ინსტიტუტების სიმყარით. ამ მიგნებას ადასტურებს ბელორუსიისა და სომხეთის ქეისები. კერძოდ კი ბელორუსიის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ტოტალური გაყალბებების შემდეგ ქუჩაში ათიათასობით მოქალაქე გამოვიდა, რომლებიც სკანდირებდნენ ოპოზიციური კანდიდატის სვეტლანა ტიხანოვსკაიას სახელს როგორც გამარჯვებული კანდიდატის. მიუხედავად მძლავრი საპროტესტო მუხტისა, მზარდი საგარეო მხარდაჭერისა და ძლიერი ოპოზიციური ფიგურის არსებობისა მაინც ვერ დადგა სასურველი შედეგი. მიზეზი კი ნათლად გამოჩნდა, და ეს მყარი ძალოვანი სტრუქტურების არსებობა. იგივე სცენარი იყო სომხეთის შემთხვევაშიც სადაც 2008 წელს მოსახლეობის მძლავრმა პროტესტმა ვერ შეძლო გამარჯვების მიღწევა , ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო სტრუქტურები(პირველრიგში ძალოვანი ინსტიტუტები) დაუდგნენ რეჟიმს დამცველ საშუალებებად .

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესწავლილი რევოლუციების წინაპირობების შედარება იძლევა საფუძველს იმისას, თუ სახელმწიფოში არსებობს მაღალი შეგნების სამოქალაქო საზოგადოება, მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა და არსებული რეჟიმის შიგნით ელიტების დაშლა , რევოლუციური შედეგი გარდაუვალი ხდება .

ამრიგად დასკვნის სახით რომ შევაჯამოთ წარმოებული კვლევის მიზანი იყო შესწავლა და წარმოდგენა, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველოსა (2003) და სომხეთში (2018) არაძალადობრივი რევოლუციების წინარე პროცესები. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი იყო მონაწილე ძალებისა და პირების ქმედებების, არსებული რეჟიმების მხრიდან დაშვებული შეცდომების, საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის სიღრმისეული ანალიზები. კვლევის ფარგლებში გამოკვლეული იქნა ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში ორი წარმატებით დასრულებული არაძალადობრივი რევოლუცია.

საქართველოსა და სომხეთის ფერადი რევოლუციების ინსტრუმენტალიზმის ჭრილში განვიხილვამ ნათლად აჩვენა რომ ძალები რომლებიც ეთიანდებიან საერთო იდეით, და აქვთ ხელშეწყობა გარედან ისევე როგორც ქვეყნის შიგნით არსებული რეჟიმის სისუსტით, აუცილებლად აღწევენ წარმატებას. არსებული რეჟიმების არადემოკრატიულობამ, საზოგადოების აზრებისა და მოთხვნების იგნორირებამ, კორუფციის მაღალმა ხარისხმა , კანონის უზენაესობის არარსებობამ, დასავლური დემოკრატიული ძალების მხარდაჭერამ, სამოქალაქო პროტესტის უწყვეტობამ და საკუთრივ რეჟიმის შიგნით ელიტურმა დაშლებმა, სასათბურე პირობები შეუქმნა ოპოზიციურ ძალებს - სამოქალაქო საზოგადეობასა და ახალგაზრდა პროგრესის მომხრე სტუდნტურ ძალებზე დაყრდნობით მოეხდინათ არსებული რეჟიმის დემონტაჟი არაძალადობრივი მეთოდებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Acemoglu, D. Robinson, J. (2001). A Theory of Political Transitions. *The American Economic Review*. United Kingdom.

Aslanian, K. (2018). *Huge Crowds Keep Up Pressure On Armenian PM* . Yerevan.

Beissinger, M. R. (2007). S*tructure and Example in Modular Political Phenomena: The Diffusion ofBulldozer/Rose/Orange/Tulip Revolutions. Perspectives on Politics.*

Bottomore, T. (1993). *Political Sociology.* Pluto Press. Second Edition. United States.

Buzan, B. (2006). *From International System to International Society: Structural Realism and Regime Theory Meet the English School.* International Organization.Cambridge University Press.

Chakravarty, S. R. Diganta, M. (1999). Measures of Deprivation and Their Meaning in Terms of Social Satisfaction. Theory and Decision.

Cheterian, V. (2008). *Georgia's Rose Revolution: Change or Repetition? Tension between State-Building and Modernization Projects.* Nationalities Paper.

Getmanchuk, A. (2012.). *How to Get Ride of Post- Sovietnes*? Institute of World Policy. Yerevan

Ghukasyan, S. (2018). "Yerevan: "Reject Serzh" Rally Kicks-Off in Republic Square; March To Baghramyan Avenue . Yerevan.

Jones, S. (2006). Georgia - Nationalism from Under the Rubble. Edited Barrington . Georgia.

Jones, S. (2000). Democracy from Below? Interest Groups in Georgia Society. Slavic Review. Georgia.

King, Ch. (2000). Post - Communism: Transition, Comparison, and the end of "Eastern"

Kupatadze, A. (2016). *Georgia's Break with the Past.* Journal of Democracy, vol. 27, no. 1, Georgia

Nodia, G. (2001).Ten Years After the Soviet Breakup: The Impact of Nationalism, Journal of Democracy, vol. 12, no. 4, October. Brussels.

Nodia, G. (2005).The Dynamics and Sustainability of the Rose Revolution. Edited by the Michael Emerson. Democratization in the European Neighborhood. Centre for European Policy Studies. Brussels.

Papava, V. (2005). *Necroeconomics: the Political Economy of Post - Communism Capitalism, Lessons from Georgia.* Iuniverse.

Polese, A. O Beachain Donnacha. 2011.The Color Revolution Virus and Authoritarian. Studies and Transition Politics. Washington Quarterly Working Papers. Washington.

ჯონსი, ს. (2013).*საქართველო: პოლიტიკური ისტორია*

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თარგმნა ხათუნა ჩხეიძემ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი.

Sandro Tsutskiridze

THE PATH OF VELVET REVOLUTIONS IN THE POST-SOVIET SPACE (EXAMPLE OF GEORGIA AND ARMENIA)

Abstract

This study is part of a series of studies on the velvet revolutions in the South Caucasus and aims to highlight the combination of external and internal factors that led to the first two successful revolutions in the South Caucasus. The aim of the study is to analyze both the internal and external socio-political situation that led to the awakening of revolutionary sentiments in Georgia and Armenia. The presented study discusses various types of scientific sources, and in order to better present the results of the study, the periods preceding the velvet revolutions in a number of post-Soviet countries are described.

The study found that the pre-revolutionary period in both Caucasian states was characterized by dissatisfaction with the existing system among the majority of the population, which was also facilitated by the growing rate of poverty and corruption. Moreover, diasporas oriented towards the Western democratic model (more noticeably in the case of Armenia), which openly supported the change of

the established regime, played an important role.

The work highlights the difficult socio-political situation in Georgia and Armenia, the corruption of the current government, and the facts of fraud in both legislative and executive elections.

In addition to the above-mentioned circumstances, the post-Soviet states with failed democracies could not fully develop into authoritarian regimes, which led to the success of the color revolutions. There was a feeling in society that peaceful protest was a civil right and that the state could not and should not suppress it by force.

The purpose of the paper is not to analyze to what extent the new regime that came through the revolution has lived up to public expectations, but rather it is focused on an in-depth analysis of the preconditions for public protest, where the reasons discussed include rigged elections, the undemocratic nature of the current regimes, foreign influence, etc.

Keywords: Velvet Revolution, Authoritarian Regime, Civil Society, Post-Soviet Society.